სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

Master's Educational Program

ხელოვნების მენეჯმენტი
Arts Management

თბილისი

2026

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის სახელწოდება ქართულად და ინგლისურად	**ხელოვნების მენეჯმენტი** **Arts Management**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	**აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ხელოვნების მენეჯმენტში** **Executive Master of Business Administration/EMBA in Arts Management**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**სასწავლო კომპონენტი - 60 ECTS** მათ შორის: **სავალდებულო სასწავლო კურსები** - 30 კრედიტი **არჩევითი სასწავლო კურსები** - 20 კრედიტი **შემაჯამებელი პროექტი** - 10 კრედიტი **სწავლის ხანგრძლივობა** - 2 სემესტრი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორები	**ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი (მოწვეული) მირონ ტუღუში, ეკონომიკის დოქტორი ტელ: 599 29 88 56 Mail: miron.tugushi@tsu.ge **თანახელმძღვანელი:** ასისტენტ-პროფესორი დეა ფირცხალაიშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ტელ: 577 051 844 Mail: dea.pirtskhalaishvili@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	➢ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს: ✓ **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** და **ჩააბაროს** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული **საერთო სამაგისტრო გამოცდა.** ✓ ხელოვნების სფეროში **პროფესიული გამოცდილება ადმინისტრირების/მართვის მიმართულებით არანაკლებ 5 წელი** (პრიორიტეტი მიენიჭება კულტურისა და ხელოვნების სფეროში დასაქმებულ კანდიდატს). ➢ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს **გასაუბრება** პროგრამაში მონაწილე პროფესორებთან დადგენილი წესის მიხედვით.[1] ➢ წერითი გამოცდა ინგლისური ენაში (B2 დონე). კანდიდატი

[1] გასაუბრების წესი მტკიცდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კათედრის წარდგინებით. გასაუბრების მიზანია დაადგინოს პირის მოტივაცია და დარგობრივი ცოდნის დონე.

	გათავისუფლდება უცხო ენის წერითი გამოცდიდან, თუ წარმოადგენს B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან გავლილი აქვთ უცხო ენის (ინგლისური) სასწავლო კურსი არანაკლებ B2 დონეზე ბაკალავრიატში; ➢ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა **უცხო ქვეყნის** აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ სათანადო ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება: • ხელოვნების (კულტურის) სფეროს მართვის შესახებ თეორიული და პრაქტიკული საკითხების სიღრმისეული ცოდნა; • დარგში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ადეკვატური შეფასების, სტრატეგიული ხედვის, ეფექტური მენეჯერული გადაწყვეტილებებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების უნარ-ჩვევები; • ლიდერული, ასვე სხვა საჭირო უნარებს და მიღებულ ცოდნას გამოყენებს ხელოვნების (კულტურის) ორგანიზაციის ეფექტური, დინამიური და ჰარმონიული მართვის პროცესში.
სწავლის შედეგები	**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** **ცოდნა და გაცნობიერება** • სიღრმისეულად და სისტემურად განიხილავს ხელოვნების სფეროს მართვის თეორიისა და პრაქტიკის საკვანძო საკითხებს, განვითარების თავისებურებებსა და სპეციფიკას; • განსაზღვრავს ხელოვნების სფეროში მართვის პოლიტიკას, თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და კომუნიკაციის საშუალებებს; • ახდენს ხელოვნების სფეროს ორგანიზაციის შიგა და გარე გარემოს გამოწვევებისა და რისკების იდენტიფიცირებას. **უნარი** • კრიტიკულად და არგუმენტირებულად აანალიზებს ხელოვნების ორგანიზაციის (დაწესებულების) მართვის მექანიზმს და სტრატეგიას; • დამოუკიდებლად ახდენს ხელოვნების სფეროს ორგანიზაციის სტრატეგულ მართვას და პროექტების მოდელირებას დანახარჯების, რისკების, სარგებლის გათვალისწინებით; • ხელოვნების სფეროს ორგანიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით ეფექტურად იყენებს თანამედროვე პიარ ტექნოლოგიებს.

	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა • ხელოვნების სფეროს კონკრეტული ორგანიზაციის საქმიანობის მცოდნე სპეციალისტთან ერთად აყალიბებს მართავის ეფექტიან მოდელს; • გუნდური მუშაობის საფუძველზე შეიმუშავებს ორგანიზაციის მართვის მექანიზმის სრულყოფის რეკომენდაციებს.
სწავლის მეთოდები	ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის გავლით. სწავლა/სწავლების მეთოდები: • **ვერბალური** - ზეპირსიტყვიერი; • **წიგნზე მუშაობის** - სახელმძღვანელოდან თანამედროვე ინფორმაციის გაცნობა და სიტუაციების მომზადება. • **დემონსტრირების** - ინფორმაციის ვიზუალური წარდგენა. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოხდება სლაიდებით და დაფის გამოყენებით; • **პრაქტიკული მეთოდები** - უზრუნველყოფს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამოხსნილი იქნება ქეის-სთადები და პრაქტიკული სავარჯიშო; • **ახსნა განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მყარ არგუმენტებზე დაფუძნებულ მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. დაწვრილებით განხილული იქნება კონკრეტული მაგალითი; • **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია; • **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - განხილული იქნება კონკრეტული სიტუაციები (შემთხვევები) და გაკეთდება მათი დეტალური ანალიზი. • **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება

	მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს; საშუალებას აძლევს მოახდინოს კონფლიქტოგენების თავიდან აცილება. • **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
შეფასების სისტემა	**შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - შემაჯამებელი პროექტი - (FX) (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი - შემაჯამებელი პროექტი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (F) (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი - შემაჯამებელი პროექტი - კომპონენტის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერები	კუსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ხელოვნების (კულტურის) სფეროში ნებისმიერ ორგანიზაციაში (დაწესებულებაში), საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერის თანამდებობაზე.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	• სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს საქართველოს მოქალაქეებისათვის • სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. პროგრამის ფინანსურ მდგრადობას განსაზღვრავს ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიური კეთილსინდისიერება უნივერსიტეტის, აკადემიური განათლების ფუნდამენტური ღირებულება და შესაბამისად, სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვანი მდგენელია. ეს გამოხატულია შემდეგი პარამეტრებით: სტუდენტი წარმოადგენს მხოლოდ მის მიერ შესაბამისი აკადემიურ სტილში დამოუკიდებლად მომზადებულ დავალებებს; ნაშრომის შესრულებისას ეყრდნობა აკადემიურ წყაროებს, სამეცნიერო ლიტერატურას; აკადემიური სტილის დაცვით უთითებს გამოყენებულ წყაროებს; არ იყენებს სხვა სასწავლო კურსისთვის მომზადებულ ნაშრომს, ან ნაშრომის ნაწილს; არ აქვს უფლება გააყალბოს ინფორმაცია/მონაცემები, ან გადმოწეროს სხვისი/თავისი ნაშრომი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აკადემიური კეთისლსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო სტუდენტს ეკისრება ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობა - ნაშრომის ხელახლა მომზადება, სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი შეფასება და/ან სტატუსის შეწყვეტა.
დამატებითი ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში	

პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: ეკონომიკა და ბიზნესი

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა

პროგრამის სახელწოდება: ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა, **ხელოვნების მენეჯმენტი**

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა (EMBA)

კრედიტების რაოდენობა: 60 ECTS

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი **მირონ ტუღუში**; თანახელმძღვანელი ასისტენტ-პროფესორი **დეა ფირცხალაიშვილი**

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: *თსუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის* 106/2023; *30/10/2023 დანართი 317* ***https://tsu.ge/ka/legalakad/48347***

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2025-2026

აკრედიტაციის მინიჭების თარიღი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 13 დეკემბრის № 1614159 გადაწყვეტილება **https://eqe.ge/ka/decisions/13489/show**

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	კრედიტების განაწილება		ავტორი / ავტორები
				საკონტაქტო		დამოუკიდებელი	სულ		სემესტრები		
				ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				1	2	
პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები - სულ 30 კრედიტი											
1	კულტურის სფეროს მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		მ. ტუღუში; დ. ფირცხალაიშვილი
2	პროექტების მართვა კულტურის სფეროში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5	გ. გრიგოლაშვილი
3	კულტურული ტურიზმის მენეჯმენტი	სავალდებულო	4	15	30	55	100	წინაპირობის გარეშე	4		მ. ღვინჯილია
4	ინფორმაციული ტექნოლოგიები კულტურის მენეჯმენტში	სავალდებულო	6	15	10/20	105	150	წინაპირობის გარეშე		6	დ. სიჭინავა; მ. ტიკიშვილი; რ. სეთურიძე
5	კანონმდებლობა კულტურის სფეროში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		თ. ზარანდია; თ. ტატანაშვილი
6	კულტურის სფეროს მარკეტინგი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ნ. თოდუა; მ. ალანია
სულ: 30 კრედიტი											

პროგრამისთვის არჩევითი სასწავლო კურსები - სულ 20 კრედიტი											
1	საერთაშორისო ანტიკვარული და არტ ბაზარი, აუქციონები	არჩევითი	5	30	15	80	125	წინაპირობის გარეშე	10		ი. კოშორიძე
2	თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება	არჩევითი	5	30	15	80	125	წინაპირობის გარეშე			ნ. სიმონიშვილი
3	მსოფლიო ხელოვნების ისტორია	არჩევითი	5	30	15	80	125	წინაპირობის გარეშე			ი.კოშორიძე
4	ქართული ხელოვნების ისტორია	არჩევითი	5	30	15	80	125	წინაპირობის გარეშე			ნ. სილაგაძე
5	ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა	არჩევითი	5	30	15	80	125	წინაპირობის გარეშე			ნ. პაიჭაძე, მ. ტუღუში ნ. ხარაძე
6	კულტურული მემკვიდრეობის მართვა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		10	ნ. კვარაცხელია; მ. ღვინჯილია
7	საზოგადოებასთან ურთიერთობები	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			მ. კობალავა
8	კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			ნ. ჯაბუა
სულ: 20 კრედიტი											
შემაჯამებელი პროექტი - 10 კრედიტი (სრულდება მეორე სემესტრში) **შემაჯამებელი პროექტის არჩევისთვის აუცილებელია მაგისტრანტს გავლილი ქონდეს პირველი სემესტრის სავალდებულო საგნები;** **შემაჯამებელი პროექტის დაცვა შესაძლებელია, თუ მაგისტრანტს დაგროვებული აქვს 50 კრედიტი, მათ შორის 30 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები, 20 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები.**											
სულ: 60 კრედიტი											